საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №05/120

ბათუმი

„07“ ოქტომბერი 2026 წ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ზვიად ბერიძის 2026 წლის 06 ოქტომბრის N1950 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგი ვაკანტური თანამდებობები:

ა) მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ერთი საშტატო ერთეული);

ბ) საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა (ერთი საშტატო ერთეული).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდეს დახურული კონკურსი, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე - ღია კონკურსი.

3. დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიამ (ვ. ცეცხლაძე) უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატში ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დახურული და ღია კონკურსის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არაუგვიანეს 2026 წლის 30 ნოემბრისა.

5. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცოტნე ანანიძე